ს.ს.ი.პ
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"
ბრძანება

14.04.09 № 38

(თბილისი)

/ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთათვის
პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ/

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის გრანტებისა და სტიპენდიების მინიჭების პროგრამის" ქვეპროგრამის - „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს" დამტკიცების შესახებ 2009 წლის 24 მარტის №163 ბრძანების საფუძველზე და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 3 აპრილის სხდომის №57 ოქმის შესაბამისად სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის მიზნით

ვბრძანებ:

1. სტუ-ს 2009 წლის 2 მარტის №23 ბრძანებით გათვალისწინებული 25 ლარიანი სტიპენდიის ნაცვლად ბაკალავრიატის I, II, III და IV კურსის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებს დაენიშნოთ პრეზიდენტის 150 ლარიანი სტიპენდია 2009 წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე 5 კალენდარული თვის განმავლობაში, ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
2. პრეზიდენტის სტიპენდიის გაცემა მოხდეს ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილი კომისიების მიერ, წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად შერჩეულ სტუდენტებზე;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების (ECTS) I, II და III წლის სტუდენტებს, რომლებმაც 2008-09 სასწავლო წლის ზამთრის სესიების შედეგების მიხედვით (რექტორის №69 02.09.2008წ. ბრძანებით განსაზღვრულ საგამოცდო სასესიო ვადებში, 2009 წლის 26 იანვრიდან 14 თებერვლის ჩათვლით) დააგროვეს ყველაზე მეტი რეიტინგი, მაგრამ არანაკლებ 91%-სა, დაენიშნოთ სტიპენდია თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
4. ბაკალავრიატის სწავლების IV წლის სტუდენტებს, რომლებმაც ამ ბრძანების მე-3 პუნქტში მითითებულ ვადაში დააგროვეს ყველაზე მეტი რეიტინგი, მაგრამ არანაკლებ 81%-სა, დაენიშნოთ სტიპენდია თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
5. პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნისას, ფაკულტეტისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი რეიტინგის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ

კონფერენციებში და სხვა. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის შესაბამისი კომისია;

6. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ამ ბრძანებით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის სტუდენტს;
7. ამ ბრძანებით განსაზღვრული სტიპენდიის გაცემა მოხდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტიგენტის პროცენტული წილის შესაბამისად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან (2008 წლის 28 ოქტომბრის მდგომარეობით), შემდეგი ოდენობებით:

   სამშენებლო ფაკულტეტი - 16 სტუდენტი;
   ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - 36 სტუდენტი;
   სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - 12 სტუდენტი;
   ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 18 სტუდენტი;
   არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - 6 სტუდენტი;
   სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - 27 სტუდენტი;
   ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 62 სტუდენტი;
   ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი - 87 სტუდენტი;
   საავიაციო ფაკულტეტი - 3.
8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაეკისროთ ფაკულტეტის დეკანებს.
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე.

რექტორი,
პროფესორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი ბ. მაისურაძე